ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31252114**
თარიღი: **30/07/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“

სხდომის ოქმი N 6

ქ. ლანჩხუთი

28.07.2025 წელი

16:00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, **კახაბერ ასკურავა.**

ფრაქციის წევრები: ირმა მგელაძე, გიორგი გოგუაძე, გივი ცინცაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვერიკო კვირკველია; მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია,** მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **პაატა ურუშაძე.**

სხდომას ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია.**

ფრაქციის სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებლები: კახაბერ ასკურავა; პაატა ურუშაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

3.„ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებლები: კახაბერ ასკურავა; ვერიკო კვირკველია/

4. სხვადასხვა საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ **კახაბერ ასკურავამ** განაცხადა, რომ ვინაიდან დღის წესრიგის პირველ საკითხზე, მომხსენებელია მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი პაატა ურუშაძე და არ გამოცხადდა ფრაქციის სხდომაზე, საკითხი ამოღებული იქნება დღის წესრიგიდან, შესაბამისად არ განიხილება, რაზეც დაეთანხმა ფრაქციის წევრები: კახაბერ ასკურავა, გიორგი გოგუაძე, გივი ცინცაძე.

ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე - 4 ; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ ისაუბრა ფრაქციის თავმჯდომარემ კახაბერ ასკურავამ. მან განმარტა, რომ ვინაიდან ფრაქციის წევრები არ ეთანხმებიან სახელწოდებას „ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად არ აძლევენ ხმას.

სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე - 0 ; წინააღმდეგი - 4

დღის წესრიგის მეორე საკითხი:

„ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ვერიკო კვირკველიამ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური მუშაობისა და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად უნდა შეიქმნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო. საბჭოს ძირითადი პრინციპები და მიზანია: კანონიერება; თანასწორობა; საჯაროობა; მიუკერძოებლობა; კოლეგიურობა; ანგარიშვალდებულება.

კახაბერ ასკურავამ განაცხადა, რომ ლანჩხუთელებს გვყავს პარლამენტში ყოფილი მაჟორიტარი, პარლამენტის ვიცე სპიკერი, ყოფილი გენდერული საბჭოს თავმჯდომარე, ნინო წილოსანი, რომელსაც არცერთ რეჟიმიდან დევნილი ქალის მიმართ სოლიდარობა არ გამოუხატია არასდროს, პირიქით- მზია ამაღლობელის თემა, ყოველგვარ ზღვარს სცილდება და ასევე პარლამენტის წევრის, ქალბატონის ბრალდებით, ახალგაზრდა გოგო სამი დღით ჩასვეს ციხეში და სოლიდარობა არ გამოუცხადებია. მისი მოსაზრებით ეს არის ქართული ოცნების მიერ მოგონილი პროპაგანდა, ცრუ ნარატივი - გენდერი, ქალი და მამაკაცი.

ირმა მგელაძემ განაცხადა, რომ გენდერული საბჭოს ერთ-ერთ შეხვედრაზე პარლამენტარმა ნინო წილოსანმა განაცხადა, დიდი დამსახურებაა რომ, პარლამენტში დააწესეს გენდერული კვოტირება. ამის შემდგომ გაუქმდა გენდერული კვოტირება და ახლა სიტყვა „გენდერი“. მისი თქმით თუ მოდის ადამიანი პრობლემით, აქვს პირადობა სადაც

წერია სქესი ქალი ან კაცი, ვინ დაადგენს ფიზიკურად რა სქესისაა და რომელ ჭრილში უნდა განიხილოთ.

ვერიკო კვირკველიამ განაცხადა, რომ „ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულებაში“ რაც წერია და საბჭოს რა ვალდებულებაც აქვს დაკისრებული, ადრეც და ახლაც შეეცდება პრობლემა მოაგვაროს, როგორც სწორია და კანონიერი.

კახაბერ ასკურავამ განაცხადა, რომ სახელწოდებიდან გამომდინარე „ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ფრაქცია არ ეთანხმება და შესაბამისად არ აძლევს ხმას.

სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე - 0 ; წინააღმდეგი - 4.

3. სხვადასხვა

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ განაცხადა,** რომ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 10 ივლისის N1106 განკარგულებით 2025 წლის თებერვლის თვეში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენების (დიდთოვლობის) შედეგად დაზიანებული ინდივიდუალრი და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით გამოიყო 7365000 (შვიდი მილიონ სამას სამოცდახუთი ათასი) ლარი.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 10 ივლისის N1107 განკარგულებით, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის N186 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 1 600 000 (ერთი მილიონ ექვსასი ათასი) ლარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, რომლიდანაც მიიმართება დამცავი კედლებისა და გაბიონების მოწყობაზე 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი, დაზიანებული გზების რეაბილიტაციაზე 600 000 (ექვსასი ათასი) ლარი, სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია მოწყობაზე 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 10 ივლისის N1105 განკარგულებით მიმიდნარე წლის თებერვლის თვეში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში განვითარებული სტიქიის (დიდთოვლობის) შედეგად დაზიანებული ინდივიდუალრი და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული საზედამხედველო მომსახურების დაფინანსებისათვის მუნიციპალიტეტს გამოეყო 220 000 (ორას ოცი ათასი) ლარი.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის N1955 განკარგულებით მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ჯურუყვეთის ცენტრალური გზისა და ლესის გზის (პროექტის ღირებულება 1 973 596 ლარი) რეაბილიტაციაზე დამატებით გამოიყო 34595 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან უნდა მიიმართოს 1821 ლარი, სულ 36 416 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხის მიმართვა განხორციელდება არაფინანსური აქტივების კლებიდან (გაყიდვა) მისაღები შემოსავლის გეგმის 1821 ლარის ზრდის ხარჯზე.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 25 ივლისის N1187 განკარგულების საფუძველზე გამოიყო 60551 ლარი 2025 წლის თებერვლის თვეში განვითარებული სტიქიის შედეგად დაზარლებული მოსახლეობის დროებითი განთავსების ხარჯების (ბინის ქირა) დასაფინანსებლად. (ორგ.კოდი 06 02 12).

ასევე სამსახურების მიერ მოწოდებული წინადადებების საფუძველზე დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში უნდა განხორციელდეს დაფინანსების შიდა გადანაცლება კერძოდ: შემცირდეს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია-რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების დაფინანსების მუხლი (020401) 600 000 (ევსასი ათასი) ლარით, შემცირების ხარჯზე გაიზარდოს 417 800 ლარით საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების ხარჯის არაფინანსური აქტივების (0208) მუხლი, 155 980 ლარით გაიზარდოს სოფელ ორაგვეში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის არაფინანსური აქტივების (010205) მუხლი, 26 220 ლარი მიიმართოს ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაზე არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში სოფელ ჩიბათში ვიზიტორთა

შენობის ეზოს შემოღობვაზე, ამავე პროექტზე მიიმართოს 41 280 ლარი კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში არაფინანსური აქტივების (050103) მუხლის დაფინანსების 41280 ლარით შემცირების ხარჯზე სულ აღნიშნულ პროექტზე მიიმართება 67500 ლარი. საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 13 მაისის N783 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულების დანართით გათვალისწინებულ მუნიციპალიტეტებზე გადაცემული თანხების ფარგლებში დარჩენილი ეკონომია 135161 ლარი მიიმართოს (010205) სოფელ ორაგვეში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის არაფინანსური აქტივების მუხლში, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის გათვალისწინებით პროექტზე მიიმართება სულ 291 141 ლარი.

ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამის სუბსიდიის მუხლის 3 500 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სპორტის ხელშეწყობის პროგრამა სხვა ხარჯების მუხლი 3 500 ლარით.

კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში არაფინანსური აქტივების მუხლის 130 000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ქალთა ფეხბურთის განვითარების (ორგ.კოდი 05 01 01 04) დაფინანსება 130 000 ლარით (სესხის მუხლი 32.1.4).

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურეობით უზრუნველყოფის პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 24) 16 000(თექვსმეტიათასი) ლარით შემცირების ხარჯზე 15 000 (თხუთმეტიათასი) ლარით გაიზარდოს „შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა“(პროგრამის კოდი 06 02 16); 1 000 (ათასი) ლარით „გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობის პროგრამა“(პროგრამის კოდი 06 02 18).

ამით ფრაქციამ მუშაობა დაასრულა.

პატივისცემით,

კახაბერ ასკურავა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-
საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"თავმჯდომარე